



Project funded by
EUROPEAN UNION



Common borders. Common solutions.



რეცირების გამოსდილება ქალაქ უნგენში

რედაქტორი
ქალაქ უნგენის მერია

ტელ.: +373 236 2 25 77
ელ-ფოსტა: primaria.ungheni@gmail.com
ვებგვერდი: www.ungheni.md



Common borders. Common solutions.



რეცირების გამოსდილება
ქალაქ უნგენში

Joint Operational Programme Black Sea Basin 2014-2020
Tskaltubo Municipality
2022

Joint Operational Programme Black Sea Basin 2014-2020 is co-financed by the European Union through the European Neighbourhood Instrument and by the participating countries: Armenia, Bulgaria, Georgia, Greece, Republic of Moldova, Romania, Turkey and Ukraine.

This publication was produced with the financial assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Ungheni City Hall (Moldova) and Tskaltubo Municipality (Georgia) and do not necessarily reflect the views of the European Union.

შინაარსი

1. შესავალი	3
2. მოლდოვას რესპუბლიკა ევროკავშირის „ნულოვანი ნარჩენების“ გზაზე	4
3. მოლდოვას რესპუბლიკაში ნარჩენების მართვის სამართლებრივი ჩარჩო და ინსტიტუციური სტრუქტურა	7
4. ქალაქ უნგენში ნარჩენების მართვის სტრატეგიული გეგმებისა და პროგრამების მომზადება	8
5. სტრატეგიული გეგმებისა და პროგრამების მომზადებაში ქალაქ უნგენის გამოცდილების გამოყენების საუკეთესო გზა	10
6. ნარჩენების შეგროვება ქალაქ უნგენში – ისტორია	14
7. ტექნიკური აღჭურვილობა	16
8. ნარჩენების მართვა ქალაქ უნგენში – შპს AVE უნგენი – მომსახურების არეალი	20
9. თანამშრომლობა და შესაძლებლობების გაძლიერება ქალაქ უნგენში ნარჩენების ეფექტიანი რეციკლირების უზრუნველსაყოფად	22
10. რეციკლირების ეფექტიანობის ასამაღლებლად თანამშრომლობისა და შესაძლებლობების გაძლიერებაში ქალაქ უნგენის გამოცდილების გამოყენების საუკეთესო გზა	22
11. ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების საჭიროებები და პერსპექტივები	27
12. მიღებული გამოცდილება	27

1. შესავალი

ნარჩენების პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი მყარი ნარჩენები ჩვეულებრივ იყრება და უსარგებლოდ ითვლება. წარმოებისა და მოხმარების სწრაფი ზრდის შედეგად ადამიანები მეტ მყარ ნარჩენს წარმოქმნიან, რაც სხვადასხვა წყაროდან წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის ზრდას იწვევს. მყარი ნარჩენები აბინძურებენ როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალური გარემოს ყველა სასიცოცხლო კომპონენტს. ამ პირობებში მყარი ნარჩენების სათანადო მართვა, რომელშიც პრიორიტეტი წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შემცირებას, რეციკლირებას, ხელახალ გამოყენებას და უსაფრთხო განთავსებას ენიჭება, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული გრძელვადიანი პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია.

ნარჩენების არასწორი მართვა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და იწვევს დამატებით ხარჯებს, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ნარჩენების მართვა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში, განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ერთ-ერთი პრიორიტეტული გარემოსდაცვითი საკითხია, ვინაიდან ამ ქვეყნებში ნარჩენები გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ყველა სახის ნარჩენი, რომელიც ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება, ქალაქ უნგენსა და მის მიმდებარე რაიონებს სერიოზულ პრობლემას უქმნის, როგორც რაოდენობის, ასევე სახეობის თვალსაზრისით (რომლებიც აბინძურებენ გარემოს, წარმოადგენენ ინფექციების წყაროს და საფრთხეს უქმნიან ადამიანების ჯანმრთელობას). ნარჩენებში დიდი რაოდენობითაა ნედლეული, მრავალჯერადი გამოყენების და ენერგეტიკული ღირებულების მქონე მასალები, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს აღდგენას და ეკონომიკურ ციკლში ჩაბრუნებას. რეგიონის ურბანული და სამრეწველო განვითარება, აგრეთვე მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მეტი რაოდენობით ნარჩენის წარმოქმნას განაპირობებს. ნარჩენებში არსებული ორგანული და არაორგანული ნივთიერებების მრავალფეროვნება მიკროორგანიზმების მიერ აერობული და ანაერობული დეგრადაციის პროცესს ართულებს, რაც, ნარჩენების უკონტროლო დაყრისა და განთავსების შემთხვევაში, ნიადაგის, ჰაერისა და წყლის დაბინძურებას იწვევს.

ქალაქ უნგენსა და მის მეზობელ რაიონებში ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურება გავლენას გარემოს ყველა კომპონენტის ხარისხზე, მათ შორის მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც ახდენს. ამიტომ აუცილებელია კონკრეტული ზომების მიღება ნარჩენების მართვის ადეკვატური სისტემის დასაწერგად, მათ შორის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ხელშეწყობა, რომელიც გულისხმობს შეფუთვის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ან სხვა სახის ნარჩენების ცალ-ცალკე შეგროვებას (ნარჩენების ან მასალების სახეობების მიხედვით).

ბროშურაში „რეციკლირება ქალაქ უნგენში“ განხილულია მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, აღწერილია ამ სფეროში ევროკავშირისა და მოლდოვას რესპუბლიკის არსებული პოლიტიკა, აგრეთვე წარმოდგენილია ქალაქ უნგენში დანერგილი კარგი პრაქტიკის მაგალითები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ რეციკლირების მაჩვენებლების ზრდას რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

2. მოლდოვას რესპუბლიკა ევროკავშირის „წულოვანი ნარჩენების“ გზაზე

„მოლდოვას რესპუბლიკის სტრატეგიული ხედვა ნარჩენების მართვის სფეროში: 2027 წლისთვის ნარჩენების მართვის ინტეგრირებული და ეკონომიკურად ეფექტიანი სისტემის შემუშავება და გარემოსა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა“.



მოლდოვას რესპუბლიკაში ნარჩენების მართვის არსებული სისტემა არასრულყოფილია და რეფორმირებას საჭიროებს. ნარჩენების მართვის დარგის განვითარებისათვის აუცილებელია ამ სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის პროცესის სათანადოდ დასაგეგმად.

ნარჩენების მართვა კვლავ რჩება მოლდოვას რესპუბლიკის გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრიორიტეტად, რომელიც ორიენტირებულია ნარჩენების მართვის სფეროში ევროკავშირის დირექტივებზე, ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობაზე, გამოწვევების შესაძლებლობად გადაქცევასა და უფრო მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაზე.

გარემოს დაცვის სფეროში მთავრობის სამოქმედო პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელების, მოსახლეობის, ბიზნესებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ზემოქმედებისა და გლობალური, ეროვნული და ადგილობრივი გარემოს სათანადოდ დასაცავად საჭირო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარების, აგრეთვე მოლდოვას ნარჩენების მართვის პრაქტიკის ევროკავშირის პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისთვის საჭირო საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნის მიზნით, 2013 აპრილში დამტკიცებულ იქნა მოლდოვას რესპუბლიკის 2013-2027 წწ. ნარჩენების მართვის სტრატეგია.

მოლდოვას რესპუბლიკის 2013-2027 წწ. ნარჩენების მართვის სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო ინვესტიციების მოსაზიდად და განეული ხარჯების ამოღების უზრუნველსაყოფად, ნარჩენების მართვის დაგეგმვაში აუცილებელია რეგიონული მიდგომის გამოყენება.

სტრატეგიის ამოცანები:

1. საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემების განვითარება საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ნორმატიული ჩარჩოების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის გზით, რეგიონული მიდგომისა და ქვეყნის ტერიტორიის ნარჩენების მართვის 8 რეგიონად დაყოფის საფუძველზე;
2. მყარი ნარჩენების განთავსების რეგიონული ინფრასტრუქტურისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკის შესაბამისად;
3. სპეციფიკური ნარჩენების ნაკადების (ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები, რეზინი, ბატარეები და ა.შ.) შეგროვებისა და დამუშავების სისტემების შექმნა „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ პრინციპის ხელშეწყობის/განხორციელების გზით.



ეროვნულ დონეზე მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვის ტრანსფორმაციის აუცილებლობა განაპირობა მოლდოვა-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების სამოქმედო გეგმის შესაბამისად გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკური და საკანონმდებლო ჩარჩოების განახლებამ და საერთაშორისო დონორების, მათ შორის ევროკავშირის, ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებამ.

გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გარემოს დაცვის სამინისტრო აპირებს, გაახლოს ნარჩენების მართვის პრაქტიკა და უზრუნველყოს გეგმებში გათვალისწინებული ყველა სახის ნარჩენის მართვა ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად.

ნარჩენების მართვის იერარქია წარმოადგენს ნარჩენების მართვის ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებების გამარტივებულ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

1. **„ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება“** – იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომი ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს ნარჩენების წარმოქმნის ზრდის მჩავენებლისა და წარმოქმნილი ნარჩენების სახიფათო მახასიათებლების შემცირებას;
2. **„ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება“** – ნარჩენის შემოწმება, გასუფთავება ან აღდგენა შეკეთების გზით, რომლის შედეგადაც პროდუქტი ან მისი კომპონენტი, რომელიც ნარჩენად იქცა, ყოველგვარი სხვა სახის წინასწარი დამუშავების გარეშე მზადაა ხელახალი გამოყენებისთვის;
3. **„რეციკლირება“** – აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერგიის აღდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც სანვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის გამოიყენება;
4. **„მასალების აღდგენა“** – აღდგენითი ღონისძიება, ენერგიის აღდგენისა და ისეთ მასალებად გადამუშავების გამოკლებით, რომლებიც გამოიყენება სანვავად ან ენერგიის გამომუშავების სხვა საშუალებებად. ის, სხვა საქმიანობებთან ერთად, მოიცავს ნარჩენების ხელახალი გამოყენებისთვის, რეციკლირებისა და ამოვსების ოპერაციებისთვის მომზადებას.

5. **„სხვა სახით აღდგენა“** – საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების სასარგებლო მიზნებისთვის გამოყენება იმ მასალების ჩანაცვლებით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესას-




რულებლად იქნებოდა გამოყენებული, ან ნარჩენების მომზადება საწარმოში ან ეკონომიკაში მათი ამ მიზნით გამოსაყენებლად;

6. **“აღმოფხვრა”** – საქმიანობა, რომელიც არ ითვალისწინებს აღდგენას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი მეორადი შედეგი ნივთიერების ან ენერგიის აღდგენაა.

ნარჩენების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს მოსახლეობის, ბიზნესებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ზემოქმედებისაგან გლობალური, ეროვნული და ადგილობრივი გარემოს სათანადოდ დასაცავად საჭირო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებას.

მოლდოვის რესპუბლიკის „მწვანე“ ეკონომიკის ხელშეწყობის 2018-2020 წწ. პროგრამისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ მოლდოვას მთავრობის დადგენილება N160/2018-ის თანახმად, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა ეროვნულ პრიორიტეტს წარმოადგენს. ცირკულარულ ეკონომიკაში პროდუქტების, მასალების და რესურსების ღირებულება ეკონომიკაში მაქსიმალურად დიდხანს არის შენარჩუნებული. ხოლო ნარჩენების წარმოქმნა – მინიმუმამდე დაყვანილი. ეროვნული ეკონომიკის დარგებში „მწვანე“ ეკონომიკის ხელშეწყობა პრიორიტეტულ ღონისძიებად არის განსაზღვრული ეროვნული განვითარების სტრატეგიაში „მოლდოვა 2030“.

ნარჩენების მართვის სექტორის ინფრასტრუქტურის მოდერნიზების მიზნით, ნარჩენების მართვის N5 რეგიონში (ნისპორენის, უნგენისა და კალარამის რაიონები) დაიგეგმა პილოტური პროექტის განხორციელება. პროექტი დაფინანსებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ პროექტის „მყარი ნარჩენები მოლდოვას რესპუბლიკაში“ ფარგლებში უზრუნველყოფილი მაკროდაფინანსების სახსრებით. პროექტისთვის გათვალისწინებული პირველი ტრანში შეადგენს 25 მილიონ ევროს 100 მილიონი ევროს ოდენობის სახსრო პროგრამის ფარგლებში, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების მართვის რეგიონებში ინფრასტრუქტურის (რეგიონული ნაგავსაყრელები, დახარისხების სადგურები, კომპოსტირების ობიექტები, გადამტვირთავი სადგურები, და სხვ.) განვითარებისათვის. აღნიშნული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პირველადი სისტემის მთავარ რგოლს, რომელშიც უნდა მოხდეს ნარჩენების აღდგენის სხვა ისეთი ტექნოლოგიების ინტეგრირება, რომლებიც ორიენტირებულია ცირკულარულ ეკონომიკაზე.



აქედან გამომდინარე, ნარჩენების მართვის იერარქიის მიხედვით რეგიონულ დონეზე ნარჩენების მართვის ეფექტიანობის საჩვენებლად, 2022 წელს ნარჩენების მართვის N5 რეგიონში დაიწყება ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის პროექტირება და მშენებლობა, 2022-2025 წლებში ანალოგიური სამუშაოები ჩატარდება ნარჩენების მართვის N1 რეგიონში (ბრიჩენის, ოკნიცას, ედინეცის, ღონდუშენის რაიონები) და N8 რეგიონში (კანტემირის რაიონი, ქალაქი კაგული, ტრაკალოის რაიონი და გაგაუზიის ავტონომიურ-ტერიტორიული ერთეული, ვულკანეშტი და ჩადირ-ლუნგა), რაც სამომავლოდ ნარჩენების მართვის სხვა რეგიონებისათვის სამაგალითო გახდება.

3. მოლდოვას რესპუბლიკაში ნარჩენების მართვის სამართლებრივი ჩარჩო და ინსტიტუციური სტრუქტურა

ნარჩენების მართვის კანონმდებლობა შედგება ნორმატიული აქტებისაგან, რომლებიც არეგულირებენ:

- ▶ ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის ღონისძიებების ორგანიზებას, მათ შორის ნარჩენების სახეობების მიხედვით;
- ▶ ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვის ღონისძიებების ორგანიზებას, მათ შორის მომსახურების მართვის დელეგირების საკითხებს.

ნარჩენების მართვის სფეროში მთავარ დოკუმენტს მთავრობის 2013 წლის 10 აპრილის დადგენილება N248-ით დამტკიცებული მოლდოვას რესპუბლიკის 2013-2027 წწ. ნარჩენების მართვის სტრატეგია წარმოადგენს. სტრატეგია განსაზღვრავს მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც ხელს უწყობს რეგიონულ დონეზე ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას – „ნარჩენების მართვის რეგიონული ასოციაციების შექმნის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა და ინსტიტუციურ სისტემაში ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა“.

ნარჩენების მართვის სფეროს ნარჩენების შესახებ კანონი N209/2016 არეგულირებს. კანონის შესრულების მიზნით მიღებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები:

- ▶ ნარჩენების, მათ შორის სახიფათო ნარჩენების ნუსხა, დამტკიცებული ნარჩენების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ მთავრობის დადგენილება N99/2018-ით;
- ▶ სამედიცინო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის სანიტარული წესები, დამტკიცებული მთავრობის დადგენილება N696/2018-ით;
- ▶ ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მართვის ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული მთავრობის დადგენილება N212/2018-ით;
- ▶ შეფუთვისა და ნარჩენი შეფუთვის მართვის ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული მთავრობის დადგენილება N561/2020-ით;
- ▶ ბატარეებისა და აკუმულატორების და ნარჩენი ბატარეებისა და აკუმულატორების მართვის ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებული მთავრობის დადგენილება N586/2020-ით.

კანონი N209/2006 განსაზღვრავს ნარჩენების მართვის სფეროში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციებსა და ვალდებულებებს (მუხლი 11):


- ა) ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის და ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო პირობების ეტაპობრივად შექმნა და ამოქმედება, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- ბ) ნარჩენების, მათ შორის მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის საჭირო ტერიტორიების გამოყოფა, ტერიტორიებზე ნარჩენების სახეობის შესაბამისი კონტეინერების მოწყობა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- გ) სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენების შესანახად სათანადო ფართობის ქონე სპეციალური სივრცეების მოწყობა, გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად;

- დ) მუნიციპალური ნარჩენების შენახვა მხოლოდ სპეციალურად მონყობილ ადგილებში, ქალაქგეგმარების დოკუმენტების შესაბამისად;
- ე) ხელშეკრულების საფუძველზე ნარჩენებისა და მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის მიღება მოსახლეობისგან, კომერციული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებიდან, და ნარჩენების მართვის ოპერატორების საშუალებით ამ მონაცემების ყოველწლიურად წარდგენა სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, აღრიცხვისა და ინფორმაციის გადამცემის მთავრობის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიით.

ამ მუხლის პუნქტი (2) ადგენს, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ რეგიონულ დონეზე ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებას და უზრუნველყონ რეგიონულ თანამშრომლობა ნარჩენების მართვის რეგიონული ასოციაციების შექმნის მიზნით.

4. ქალაქ უნგენში ნარჩენების მართვის სტრატეგიული გეგმებისა და პროგრამების მომზადება

გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „გარემოს დაცვის სფეროში ფისკალური რეფორმის განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება ეროვნული და გლობალური გარემოსდაცვითი პრიორიტეტების შესასრულებლად“ ფარგლებში მომზადდა 2015-2020 წწ. ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა (LEAP) – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ უნგენის ადგილობრივი ხელისუფლების გარემოსდაცვით პოლიტიკას და ადგილობრივ დონეზე გარემოსდაცვითი პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის მოკლე და საშუალოვადიან პროგრამას, მდგრადი განვითარების პრინციპებისა და სხვა მოქმედი ადგილობრივი და ეროვნული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.



ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს ინტეგრირებულ და ყოვლისმომცველ საფუძველს ქალაქის გარემოსდაცვითი პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისათვის. ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებში განხორციელდა. მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშის საფუძველზე გეგმა გადაიხედა და განახლდა. გეგმის წარმატებით განხორციელება უნგენის ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოქალაქეების: საჯარო ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივმა ძალისხმევამ უზრუნველყო.

ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის ხედვა ემყარება გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებულ რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული და

გარემოსდაცვითი მართვის სისტემების შექმნას, გარემოს მდგრადობისა და გარემოსდაცვითი ფაქტორების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის მიზანია გარემოსდაცვითი მართვის ისეთი ეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოს ხარისხის ამაღლებას და უზრუნველყოფს მოსახლეობის უფლებას სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. ნარჩენების მართვა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გარემოსდაცვითი განათლება ამ გეგმის პრიორიტეტული მიმართულებებია.

ქალაქ უნგენის ნარჩენების მართვის გეგმაში (2015 – 2020 წწ.) აღწერილია ქალაქ უნგენში ნარჩენების მართვის მიზნები და ამოცანები, გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედებები, აგრეთვე წარმოდგენილია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების/შემცირების და კომპენსირების ღონისძიებები.

ქალაქ უნგენის ნარჩენების მართვის გეგმა მიზნად შემდეგი ამოცანების შესრულებას ისახავს:

- ▶ მუნიციპალური/ადგილობრივი გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვის მიზნით
- ▶ ინსტიტუციური და ორგანიზაციული ჩარჩოს ადაპტირება და განვითარება ეროვნული მოთხოვნებსა და ევროპულ სტრუქტურებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად
- ▶ სათანადო ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა რაოდენობისა და კვალიფიკაციის თვალსაზრისით
- ▶ ნარჩენების მართვის სფეროში ეკონომიკური და ფინანსური სისტემებისა და მექანიზმების შექმნა და გამოყენება ზოგადი პრინციპების, განსაკუთრებით, „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად
- ▶ ინფორმირების, ცნობიერების ამაღლებისა და ნახალისების სისტემების ამოქმედება ყველა ჩართული მხარისთვის
- ▶ ისეთი სრული და ზუსტი მონაცემებისა და ინფორმაციის მოპოვება, რომლებიც აკმაყოფილებენ ეროვნულ და ევროპულ დონეზე ანგარიშგების მოთხოვნებს
- ▶ ნარჩენების წარმოქმნის მაქსიმალურად თავიდან აცილება
- ▶ ნარჩენების აღსადგენად ყველა ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობის გამოყენება
- ▶ ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ინტეგრირებული სისტემის გაუმჯობესება/განვითარება
- ▶ ნარჩენების დამუშავების ხელშეწყობა რაციონალური გარემოსდაცვითი მართვის უზრუნველსაყოფად გადაყრილი ნარჩენი შეფუთვის რაოდენობის შემცირება
- ▶ ნაგავსაყრელებზე ბიოდეგრადირებადი ნარჩენების რაოდენობის შემცირება
- ▶ ნარჩენების სათანადო მართვა სტრატეგიული პრინციპების შესაბამისად და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება
- ▶ ნარჩენების სეპარირებული შეგროვება



- ▶ ნარჩენების შემცირება, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და ნარჩენების კომპონენტების აღდგენა
- ▶ ნარჩენების განთავსება ნარჩენების მართვის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, საზოგადოების ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით.

5. სტრატეგიული გეგმებისა და პროგრამების მომზადებაში ქალაქ უგენის გამოცდილების გამოყენების საუკეთესო მზა

ნარჩენების მართვის სტრატეგიული გეგმებისა და პროგრამების მომზადებაში უგენის მერიის გამოცდილების გამოყენების საუკეთესო მზა ამ გამოცდილებიდან ძირითადი ასპექტების გამოკვეთა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება წარმოადგენს.

1. უგენის მერიის მიერ შემუშავებულმა და განხორციელებულმა სტრატეგიულმა გარემოსდაცვითმა დოკუმენტებმა ხელი შეუწევს საბაზისო მომსახურების – საჯარო სივრცეებში ნარჩენების მართვის მოდერნიზებას.
2. საჯარო სივრცეებსა და კერძო სექტორში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და რეციკლირებასთან დაკავშირებით მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ხელი შეუწევს გარემოს დაბინძურების შემცირებას:
 - ▶ ნარჩენების (პლასტიკის, ქაღალდის, მინის) სეპარირებული შეგროვებისთვის კონტეინერების შეძენა და ქალაქის სხვადასხვა უბნებში მრავალსართულიანი კორპუსების ეზოებში განთავსება;
 - ▶ ნარჩენების (პლასტიკი, PET, ქაღალდი, მუყაო, მინა) სეპარირებული შეგროვება ქალაქის სხვადასხვა უბნებში მრავალსართულიანი კორპუსების ეზოებსა და ქალაქის მთავარ ქუჩებზე განთავსებული სპეციალური კონტეინერების საშუალებით;
 - ▶ ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების სეპარირებული შეგროვებისთვის კონტეინერებისა და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და ამ სახის ნარჩენების შესანახი პუნქტის მოწყობა;
 - ▶ ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების უსასყიდლოდ შეგროვება მოქალაქეებისგან და იურიდიული პირებისაგან: ტრანსპორტირების, დახარისხებისა და შენახვის უზრუნველყოფა;
 - ▶ საჯარო სივრცეებში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების შესაძლებლობების გაძლიერება;
 - ▶ გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაში მოქალაქეების, ხელისუფლების ორგანოების, საჯარო და კერძო ორგანიზაციების მონაწილეობა;
 - ▶ რეციკლირებადი ნარჩენების (განსაკუთრებით ქაღალდის, მუყაოს, PET-ის) აღდგენა;
 - ▶ გარემოსდაცვითი ღონისძიებების, როგორიცაა საინფორმაციო, საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რეციკლირების კამპანიები, საგაზაფხულო და საშემოდგომო გარემოსდაცვითი ღონისძიებები, საჯარო სივრცეების დასუფთავება/გამწვანების ღონისძიებები, ეროვნული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი დღეების აღნიშვნა და ა.შ., რეგულარულად განხორციელება;

- ▶ ნარჩენების რეციკლირების წახალისება ყველა ასაკის მოქალაქეებისათვის მობალისეობრივი და პროაქტიური გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარებით.

საჯარო სივრცეებში ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის შექმნილი კონტეინერები



3. მოქალაქეებმა იციან, რომ:

- ▶ ნარჩენების სეპარირებული შეგროვება არის პროცესი, რომელიც სხვადასხვა სახის მასალების: ქაღალდი-მუყაო, მინა, PET და ა.შ. გადამუშავების შესაძლებლობას იძლევა. ეს ეკონომიკური თვალსაზრისითა ძალიან მომგებიანი მეთოდია.

რეციკლირებადი მასალების სეპარირებული შეგროვებით:

- ◆ ვამცირებთ ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენების რაოდენობას
- ◆ ვზოგავთ ნედლეულს, ენერგიას, ფულსა და დროს
- ◆ ვიცავთ ტყეებს და სუფთა ჰაერს
- ◆ ვამცირებთ ჰაერისა და წყლის დაბინძურებას
- ◆ ვიღებთ შესანახ ადგილს სხვა ნარჩენებისთვის

სეპარირებული შეგროვების განსახორციელებლად აუცილებელია:

- ◆ ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის სპეციალური კონტეინერების დადგმა
- ◆ მოსახლეობის მომზადება ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის
- ◆ შეგროვება-რეციკლირების სრული ციკლის დაცვა
- ◆ ნედლეულის ხელახალი გამოყენება

საზოგადოებისთვის განკუთვნილი ყველაზე ეფექტიანი გზავნილები და გაფრთხილებები:

- ◆ შეაგროვე ნარჩენები სეპარირებულად ჯანმრთელობისა და უფრო სუფთა გარემოსათვის!
- ◆ არ დაყარო ნარჩენები საჯარო სივრცეში!
- ◆ არ დატოვო ნარჩენებით სავსე პარკი კონტეინერთან!



ნარჩენების რეციკლირება ამცირებს რესურსების გაუმართლებელ ხარჯვას და უზრუნველყოფს მათ უფრო ეფექტიან გამოყენებას.

რეციკლირების ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი სარგებელი დაკავშირებულია პირველადი ნედლეულის ნაცვლად გადამუშავებული ნედლეულის გამოყენების შედეგად ბუნებრივი რესურსებისა და ენერგიის დაზოგვასა და წარმოების პროცესში დაბინძურების შემცირებასთან. ყველაზე ადვილია შემდეგი ნარჩენების რეციკლირება:

- ◆ ქაღალდი (ძველი წიგნები, სუფთა გაზეთები, ნაბეჭდი ქაღალდები, ჟურნალები, მუყაოს შეფუთვა და ა.შ.)
- ◆ პლასტიკის შეფუთვა (PET, პლასტიკის პარკები).

რეციკლირებადი ნარჩენების შეგროვების, დამუშავების, ტრანსპორტირებისა და აღდგენილი მასალებიდან ახალი პროდუქტების დამზადების შედეგად მცირდება ჰაერისა და წყლის დაბინძურება, წარმოების პროცესში წარმოქმნილი მყარი ნარჩენებისა და გამოყენებული პირველადი ნედლეულის რაოდენობა.

რეციკლირების სფეროში აუცილებელია შემდეგი სტრატეგიების შესრულება:

- ◆ ნარჩენების ნარმოქმნის პრევენცია
- ◆ ნარჩენების აღდგენა შეგროვებისა და დახარისხების სისტემების ოპტიმიზაციის გზით
- ◆ იმ ნარჩენების საბოლოო განთავსება, რომლებიც აღდგენას არ ექვემდებარება

4. უნგენის მერიამ და მეზობელმა რაიონებმა გააძლიერეს თანამშრომლობა AVE UNGHENI-თან – ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ოპერატორთან – და მიიღეს შემდეგი შედეგები:

მოხდა საოპერაციო შესაძლებლობების ოპტიმიზაცია, გაიზარდა შეგროვების ეფექტიანობა:	გალამაზებული საჯარო სივრცეები, ცხოვრების გაუმჯობესებული ხარისხი:	მდგრადი პრაქტიკა, ნახშირბადის შემცირებული ემისიები
ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის შეძენილ იქნა კონტეინერის ამწევი მექანიზმის მქონე სპეციალური ნაგავმზიდები, რომლებიც ქალაქსა და რამდენიმე მიმდებარე სოფელს ემსახურებიან.	საჯარო სივრცეების სისუფთავესა და ესთეტიკას ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და გატანა უზრუნველყოფს	შემუშავდა და დაინერგა რეციკლირების სამოქალაქო პროგრამა, შეგროვების თითოეულ პუნქტში სხვადასხვა სახის ნარჩენების შეგროვებით
შემცირდა ნარჩენების შემგროვებელი მანქანების გამოყენება სამუშაო საათები, მანქანების ცვეთა და სანავის მოხმარება	უფრო სუფთა და მწვანე საჯარო სივრცეები, კონტეინერებში ნარჩენების ნაკლები რაოდენობით	შემცირდა ნახშირბადის და CO ₂ -ის ემისიები, სანავის მოხმარება და ჰაერის დაბინძურება
შეგროვების მარშრუტების ოპტიმიზაციისა და რესურსების გადანაწილების შედეგად გაიზარდა შეგროვების ეფექტიანობა	საგზაო უსაფრთხოება (სატვირთო მანქანების მოძრაობის, ხმაურისა და საცობების შემცირება)	მეტი საჯარო სივრცე უფრო სუფთა და მდგრადი გარემოთი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების შედეგად


6. ნარჩენების შეგროვება ქალაქ უგანში – ისტორია

2008 წლამდე, საყოფაცხოვრებო სექტორი (საცხოვრებელი სახლები) დასუფთავების მომსახურებით ვერ სარგებლობდა. ნარჩენების შეგროვებას და გატანას თავად მოსახლეობა ინდივიდუალურად ახორციელებდა.

მუნიციპალური საწარმო "მწვანე სივრცე"	• საჯარო სივრცეების დასუფთავება (ქუჩების დაგვა, გამწვანება, თოვლის მოცილება) და ნარჩენების გატანა საჯარო დაწესებულებებიდან.
AOPA 35/3	• მრავალსართულიანი საცხოვრებელი უბნების დასუფთავება (ეზოების დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება)
AOPA 35/12	• მრავალსართულიანი საცხოვრებელი უბნების დასუფთავება (ეზოების დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება)
AOPA 35/13	• მრავალსართულიანი საცხოვრებელი უბნების დასუფთავება (ეზოების დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება)
AOPA 35/14	• მრავალსართულიანი საცხოვრებელი უბნების დასუფთავება (ეზოების დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება)


ეს იყო ნარჩენების მოძველებული სისტემა შემდეგი მახასიათებლებით:

- ◆ ნარჩენების შესაგროვებელი ძველი კონტეინერები არასაკმარისი რაოდენობით;
- ◆ 9 სართულიან სახლებში მოწყობილი ნაგვის ჩასაყრელი ბუნკერების არასათანადო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- ◆ ნარჩენების შეგროვების გაუმართავი და მცირე ტევადობის მქონე პუნქტები;
- ◆ ნარჩენების ხელით შეგროვება, თანამშრომლების სიმცირე.



2008 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა შემდეგი ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე შეგროვების სისტემა:

დასუფთავების სამსახურის, მათ შორის ქალაქ უნგენში ნარჩენების
შეგროვების, ორგანიზაციული სტრუქტურა



- ◆ ნსაყოფაცხოვრებო და მსგავსი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ცალკე რეციკლირებადი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია

შპს „AVE უნგენი“-ს
ფუნქციები



- ◆ ქუჩების ნარჩენების შეგროვება

კეთილმოწყობის
სამსახური



7. ტექნიკური აღჭურვილობა

შპს "AVE უნგენი"-ს ნარჩენების შეგროვების ინფრასტრუქტურა ქალაქ უნგენში შედგება სანარმოს ტექნიკური და სპეციალური აღჭურვილობისა და კონტეინერებისაგან:



1.1 მ3 მოცულობის
900 კონტეინერი
ნარჩენების
შესაგროვებლად



240 ლიტის
მოცულობის
296 ურნა



120 ლიტის
მოცულობის
4947 ურნა



ნარჩენების
შეგროვების 78
პლატფორმა,
მოწყობილი
საჯარო
უწყებებთან,
საწარმოებთან
და
საცხოვრებელ
უბნებში



1.1 მ3
მოცულობის
234
სტანდარტული
კონტეინერი
(პლატფორმაზე
მოთავსებული)



5 სატვირთო
მანქანა,
აღჭურვილი
ნარჩენების
კონტეინერებისა
და ურნების
დაცლის და
ნარჩენების
დატკეპნის
მოწყობილობით



45
კონტეინერი
PET-ის
შესაგროვებლად



2008 წლიდან ქალაქ უნგენში ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას მხოლოდ შპს “AVE უნგენი” უზრუნველყოფს. პლასტიკისა და ქაღალდის ნარჩენები გროვდება ლაკულუის ქუჩაზე მდებარე ნარჩენების დახარისხების სადგურზე, სადაც ხდება მათი რეალიზაცია რეციკლირების მიზნით. 2019 წელს გაიყიდა 263.13 ტონა რეციკლირებადი ნარჩენი, აქედან 27.25 ტონა PET და 235.9 ტონა მუყაო.

კომპანია, შესაბამისი ანაზღაურებით, უზრუნველყოფს სამშენებლო ნარჩენების შეგროვებას და ამისათვის 7 მ3 მოცულობის კონტეინერს იყენებს. სამშენებლო ნარჩენები გამოიყენება გზების სარემონტო სამუშაოებში, ან ხდება მათი დასაწყობება. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ნარჩენები შერეულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან, ისინი სოფელ ჩეტირენში მდებარე ნაგავსაყრელზე გააქვთ.

სამშენებლო ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები



გარდა ამისა, 2016 წლიდან კომპანია აგროვებს ნარჩენ ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებს. ეს შესაძლებლობა კომპანიას მიეცა ისეთი პროექტების განხორციელების წყალობით, როგორიცაა შავი ზღვის აუზის 2014-2020 წწ. ერთობლივი საოპერაციო პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი „ნარჩენებისგან თავისუფალი

მდინარეები სუფთა შავი ზღვისთვის“ და პროექტი „ქალაქ უნგენში ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების სეპარირებული შეგროვება“, რომლის თანადაფინანსება სლოვაკეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტომ უზრუნველყო.

ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შეგროვების სისტემის ინფრასტრუქტურა შემდეგი აღჭურვილობისაგან შედგება:

- ▶ 50 კონტეინერი მცირე ზომის ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისთვის, 35-55 ლ მოცულობის
- ▶ მუყაოს 40 კონტეინერი ფლუორესცენტური ნათურებისა და ბატარეების შესაგროვებლად
- ▶ ლითონის 7 კონტეინერი მცირე ზომის ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისთვის სასაწყობო ცენტრში
- ▶ 1 შესანახი კონტეინერი, 32.85 მ³ მოცულობის
- ▶ ბატარეების 2 შესანახი კონტეინერი სასაწყობო ცენტრში
- ▶ ლითონის 3 კონტეინერი, 8 მ³ მოცულობის
- ▶ პლასტიკის კონტეინერი/ხის ყუთი 6 ცალი, 1200x1000x790 მმ
- ▶ პლასტიკის კონტეინერი/ხის ყუთი 3 ცალი, 1200x1000x650 მმ
- ▶ ლითონის 4 კონტეინერი, 4.5 მ³ მოცულობის
- ▶ 25 კონტეინერი მცირე ზომის ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისთვის, 1.1 მ³ მოცულობის
- ▶ მცირე ზომის 1 სატვირთო ავტომანქანა ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესაგროვებლად
- ▶ სატვირთო ავტომანქანა IVECO ML 170 E22H ავტომანქანა ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ტრანსპორტირებისთვის.

ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შეგროვების სისტემა





8. ნარჩენების მართვა ქალაქ უნგენში – შპს AVE უნგენი – მომსახურების არეალი

უნგენის რაიონში დასუფთავების მომსახურებით სარგებლობს ქალაქში მცხოვრები ოჯახების 75%, ხოლო სოფლად მცხოვრები ოჯახების მხოლოდ 13%. სოფლების უმეტეს ნაწილში ნარჩენების მართვის მომსახურება საერთოდ არ არის და ამიტომ მოსახლეობის 2/3 ამ მომსახურებით ვერ სარგებლობს.

ქალაქ უნგენის (ოპერატორი შპს “AVE უნგენი“) იმ რაიონებში, სადაც მრავალსართულიანი სახლებია, ნარჩენების შეგროვება და გატანა ფიქსირებული ადგილებიდან ყოველდღიურად ხდება, ხოლო იმ უბნებში, სადაც ძირითადად კერძო სახლებია და ოპერატორის მომსახურების არეალში შემავალ სოფლებში ნარჩენები წინასწარ დადგენილი მარშრუტითა და დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე თვეში 1-2-ჯერ გროვდება.

ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული	მოსახლეობა (2020)	ოჯახების რაოდენობა	მომსახურებით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა	მომსახურების არეალი %
ქალაქი უნგენი	34833	14441	9673	67%
ზაგარანცეას თემი (სოფ. ზაგარანცეა, სემენი)	3419	2034	639	31%
პეტრეშტის თემი	4109	1846	110	6%
ვალეა მარეს თემი (სოფ. ვალეა მარე, ბუზდუგანი-დე-სუსი ბუზდუგანი-დე-ჟოსი, მორენი ვეჩი)	3041	1650	274	17%
სკულენის თემი (სოფ. სკულენი, გერმანი, ფლორენი, ბლინდეშტი)	5004	2404	380	16%
სულ	50406	22375	11076	50%

დასუფთავების მომსახურების არეალის გაზრდის და განსაკუთრებით ნარჩენების (პლასტიკი, მუყაო/ქაღალდი) რეციკლირების შესაძლებლობების დასადგენად, პროექტის „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“, BSB-1138, უნგენის რაიონის 5 სოფელში: პირლიცაში, ვალეა მარეში, მანოილევშტში, ზაგარანცეასა და კოსტულენში ნარჩენების შეგროვების პილოტური პუნქტები მოეწყო.

ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებისას მოსახლეობა შემდეგი ინსტრუქციებით ხელმძღვანელობს:


 Project funded by
EUROPEAN UNION


Recycling symbol text


Black Sea logo text

Începând cu anul 2021, în localitățile adiacente municipiului Ungheni este testată colectarea selectivă a deșeurilor!

UN MEDIU SĂNĂTOS ÎNCEPE DE ACASĂ!

COLECTEAZĂ SELECTIV!

Urmează instrucțiunile de colectare selectivă:

PLASTIC


PLASTIC

Se colectează în recipientul cu capac galben

- Clătește recipiențele din plastic (PET-urile)
- Ambalajele din plastic care nu se pot curăța se colectează la deșeurile reziduale.*
- Scoate dopul înainte de debarasare și economisește spațiul prin presare
- DA:** bidoane și cutii de plastic, folii de plastic, pungi din plastic, ambalaje de protecție din plastic, jucării de plastic, tacâmuri de bucatărie
- NU:** produse combinate din metal și plastic, polistiren din construcții, cutii / bidoane cu resturi de vopsea, diluanți sau alte substanțe chimice periculoase, deșeurile medicale (seringi folosite).

HÂRTIE / PLASTIC


HÂRTIE / PLASTIC

Se colectează în recipientul cu capac albastru

Economisește spațiu prin împăturire

- DA:** reviste, ziare, maculatură, plicuri, cutii, fotografii, cartoane de ouă, cutii de pizza, cutii de carton de băuturi (tetrapack) etc. – se colectează uscate.
- NU:** hârtie și carton ce conțin reziduuri de mâncare, șervetele și hârtie de bucatărie folosite, hârtie de ambalat lucioasă.


PLASTIC


HÂRTIE


IMPORTANT!

Este interzisă amestecarea deșeurilor!


CROSS BORDER COOPERATION

Common borders. Common solutions

სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენები



12 თვის განმავლობაში 205 მ³ ნარჩენი შეგროვდა.

9. თანამშრომლობა და შესაძლებლობების გაძლიერება ქალაქ უზგანში ნარჩენების ეფექტიანი რაციკლირების უზრუნველსაყოფად

ნარჩენების რეციკლირების სფეროში საზოგადოების სხვადასხვა სუბიექტებს შორის თანამშრომლობის უკეთესი ორგანიზების მიზნით, უზგანის მერიამ პარტნიორთა ფართო წრე (29 სუბიექტი) მოიზიდა: ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციები 5 სოფლის ადმინისტრაცია, 1 საჯარო უწყება, 12 სკოლა და სკოლამდელი აღზრდის 5 დაწესებულება, 6 არასამთავრობო ორგანიზაცია და ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფი. ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელმაც შექმნა იმ პარტნიორებს შორის ურთიერთობის რეგულირების საფუძველი, რომლებიც ჩართული იყვნენ პროექტის „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთვის“, BSB-1138, განხორციელების ცალკეულ ღონისძიებებში:

- ▶ საკომუნიკაციო ღონისძიებები (პროექტის სანყისი კონფერენცია)
- ▶ დამხმარე და საკონსულტაციო საქმიანობა ნარჩენების რეციკლირების საკონსულტაციო და განათლების პუნქტში
- ▶ ინდივიდუალური/სახლის პირობებში კომპოსტირების ხელშეწყობი ღონისძიებები (ტრენინგი და ნარჩენების კომპოსტირების ორგანიზება)
- ▶ საქმიანობა ნარჩენების მართვის 3R პრინციპის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან, სამიზნე ჯგუფების: მასწავლებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალების, მედიის წარმომადგენლების და სხვ. ტრენინგი)
- ▶ დასუფთავების ღონისძიებები და საერთაშორისო და ადგილობრივი გარემოსდაცვითი დღეების აღნიშვნა
- ▶ ნახატების კონკურსი გარემოს დაცვის თემაზე

10. რაციკლირების ეფექტიანობის ასაზღვრავლად თანამშრომლობისა და შესაძლებლობების გაძლიერებაში ქალაქ უზგანის გამოცდილების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკა

გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოების სხვადასხვა სუბიექტებს შორის თანამშრომლობისა და მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად განხორციელდა რიგი ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ღონისძიებებისა, რომლებიც ითვალისწინებდნენ საზოგადოებაში სათანადო აზრის და განწყობის ჩამოყალიბებას, გარემოს მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლას, სუფთა და ჯანსაღი გარემოს თვალსაზრისით მომავალი თაობების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გაჩენას მდგრადი განვითარების სამი მიმართულების – ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური გათვალისწინებით. თანამშრომლობის შესახებ მრავალმხრივი მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა გააძლიერეს თანამშრომლობა ნ ბენეფიციარ რაიონს შორის და ხელი შეუწევს საზოგადოების განათლებას და ცნობიერების ამაღლებას იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღება შეუძლია თითოეულ მოქალაქეს დაბინძურების შესამცირებლად და სუფთა გარემოს უზრუნველსაყოფად.



ტრენინგები ნარჩენების მართვის საკითხებზე ქალაქ უნგვენში




დასუფთავების ღონისძიებები ქალაქ უნგენში და ბენეფიციარ სოფლებში



მერებმა ექსპერტებისა და კონსულტანტების მხრიდან მიიღეს დახმარება და რჩევები ნარჩენების რეციკლირების შესახებ. კერძოდ, ისინი გაცენენ ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დადებით მხარეებს, მათ გადაეცათ საინფორმაციო და სასწავლო მასალები გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებაში, განსაკუთრებით ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, მოქალაქეების ინფორმირებულობის, მობი-ლიზებისა და ჩართულობის დონის ასამაღლებლად.


საინფორმაციო და პრომო მასალებმა, რომლებშიც აქცენტი გაკეთებული იყო გა-რემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მნიშვნელობაზე, დადებით გავლენა მოახდინეს.

საინფორმაციო და სასწავლო მასალები





ახლახან შექმნილი დასუფთავების რეგიონული სამსახური "Salubritate GRUP" ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვაში ჩართული სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერებას. ახალი კომპანიის ფუნქციებში შედის არასახიფათო ნარჩენების შეგროვება, დამუშავება და განთავსება და დახარისხებული რეციკლირებადი მასალების აღდგენა. შპს "Salubritate GRUP" შეიქმნა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (GIZ) მიერ მომზადებული მიზანშეწონილობის კვლევის და COWI-ის (დანია) მიერ მომზადებული ხარვეზების ანალიზის შედეგების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტები მომზადდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაკვეთით ნარჩენების მართვის რეგიონი N5-ში პილოტური პროექტის განსახორციელებლად. პროექტი ითვალისწინებს რეგიონულ დონეზე მყარი ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნას და, შესაბამისად, აუცილებელი ინფრასტრუქტურის პროექტირებისა და მშენებლობის პროცესის დაწყებას.



11. ნარჩენების მართვის სისტემის განვითარების საჭიროებაები და პერსპექტივები

ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და რეციკლირების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, საჭიროა შემდეგი ინვესტიციებისა და ღონისძიებების განხორციელება:

- ▶ 18 მ³ ტევადობის სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენა
- ▶ 1.1 მ³ მოცულობის 172 კონტეინერის შეძენა სამიზნე თემებში დასუფთავების მომსახურების დასაწერად
- ▶ სოფლებში კონტეინერების 172 პლატფორმის მოწყობა
- ▶ 1.1 მ³ მოცულობის 300 კონტეინერის და 120 ლ მოცულობის 600 ურნის შეძენა დაზიანებული კონტეინერებისა და ურნების შესაცვლელად (ქალაქ უნგენში)
- ▶ მცენარეული ნარჩენების დამქუცმაცებლის შეძენა
- ▶ მრავალფუნქციური ბულდოზერის შეძენა ნაგავსაყრელზე ნარჩენების დასამარხად და სხვა სამუშაოებისათვის
- ▶ ბულდოზერის შეძენა ნაგავსაყრელზე ნარჩენების დასატკეპნად
- ▶ დახარისხების დარბაზის სარემონტო სამუშაოები და ლენტური კონვეიერის მონტაჟი
- ▶ მომსახურების ბენეფიციარების რაოდენობისა და, შესაბამისად, გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა
- ▶ ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დაწესებულება მომსახურების არეალში შემავალ ტერიტორიებზე
- ▶ ნარჩენების მართვისა და გარემოს დაცვის სფეროში საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიების ორგანიზება და მხარდაჭერა
- ▶ ტრენინგები ნარჩენების მართვის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის
- ▶ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამები ნარჩენების მართვის სფეროში, მომსახურების საფასურის საკითხების ჩათვლით
- ▶ ნარჩენების სწორი მართვის საინფორმაციო მასალები: ბილბორდები, ლიფლეტები, ბროშურები და სხვ.
- ▶ სახლის პირობებში კომპოსტირების პროგრამები
- ▶ სასკოლო კონკურსები და საგანმანათლებლო აქციების ჩატარება ადგილობრივი ხელისუფლების, ნარჩენების მართვის ოპერატორებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით.

12. მიღებული გამოცდილება

ქალაქ უნგენში ნარჩენების მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია ნარჩენების წარმომქმნელების პასუხისმგებლიან ქცევაზე და საჭირო პირობებზე (მაგ., ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური ნახალისების მექანიზმები, პოლიტიკა და რეგულაციები, და სხვ.), რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირებულ შეგროვებას, რაც უზრუნველყოფს სეპარირებულად შეგროვებული

ნარჩენების უფლებამოსილ ოპერატორებისთვის გადაცემას და გამორიცხავს დიდი ხნით დაგროვებას ან სხვა ნარჩენებთან შერევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და აგრეთვე ადგილობრივი და ეროვნული სტრატეგიების ცალკეული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა და პირველ რიგში იმის აღიარება, რომ ნაგავსაყრელზე გადაყრილ ნარჩენებს ეკონომიკური ღირებულება აქვთ. ამ პროცესებში ჩართული ყველა სუბიექტის მიერ ნარჩენების სწორი მართვით ჩვენ შეგვიძლია მივალწიოთ ცხოვრების უკეთეს ხარისხს უსაფრთხო სამუშაო ადგილებითა და სუფთა გარემოთი.

უნგენში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების განხორციელებიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

- ▶ აუცილებელია მაქსიმალურად ბევრი პარტნიორის მოზიდვა, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ თანამშრომლობის პროცესს. ესენია: შესაბამისი სამინისტროები, რაიონული ადმინისტრაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფები და სხვ.;
- ▶ საჭიროებების, განსაკუთრებით ინვესტიციების რეალისტური შეფასება და დიაგნოსტიკა;
- ▶ თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა მეთოდებით, როგორიცაა დასუფთავების ეროვნული დღეები, სასკოლო საინფორმაციო კამპანიები ან გამოფენები;
- ▶ საზოგადოების ყველა შესაბამისი სუბიექტის ჩართვა და თანამონაწილეობრივი პროცესის უზრუნველყოფა;
- ▶ საზოგადოების სუბიექტების ჯგუფის შექმნამ და კოორდინაციამ და საკითხისადმი სტრუქტურირებულმა მიდგომამ შეიძლება კარგი შედეგი გამოიღოს;
- ▶ სხვა ქალაქებისა და სახელმწიფოების კარგი პრაქტიკა და გამოცდილება ძალიან სასარგებლოა ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების საკუთარი მიდგომის შემუშავებისთვის;
- ▶ მოქალაქეები შეგროვების პროცესის ცენტრალური ფიგურები უნდა გახდნენ, მათ უნდა ესმოდეთ ნარჩენების სეპარირებული შეგროვების აუცილებლობა და მნიშვნელობა და აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული პროცესის ყველა ეტაპზე.